



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული ბაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

დეკემბერი
ქისლევო
№12 (423)
(5777)
2016

“מנורה”
עיתון יהודי
בגור

დღეს ნომერშია:

**გაზეთ „მენორას“ რედაქცია გულითადად გილოცავთ
— კვლავ გვეწვია ხანუქის დღესასწაული!**

როგორ აღინიშნებოდა ხანუქის დღესასწაული ბოლო წლების საქართველოში.

გვ. მე-2

დონალდ ტრამპი ისრაელის დედაქალაქად იერუსალიმის აღიარებას აპირებს
საჩხერის ბეით ქნესეთი ებრაელობას დაუბრუნდა.

ქართველი ებრაელი ბიზნესმენისა და ფილანტროპის — მიხეილ მირილაშვილის
კიდევ ერთი აღიარება
ძარცვა ბეით ქნესეთში

გვ.მე-3

ამ სტატიაში დროდადრო წააწყდებით სიტყვას „კონგენიალური“ — როგორ აფასებს ვე-
ფხისტყაოსნის ებრაულ — ბორის გაპონოვისეულ — თარგმანს დიდებული ქართველი მეც-
ნიერი, ბიბლიოლოგი ზურაბ კიკნაძე

გვ.მე-4-5

პრემიერ-მინისტრის მეუღლის პოლიციაში დაკითხვა 11 საათი გრძელდებოდა.
აშშ-ში პალესტინის ავტონომიას ასამართლებენ,
ისრაელში ქართველი „დევნილები“ მომრავლდნენ,
ისრაელის ყოფილ მთავარ რაბინს ბრალად სდებენ, რომ...

გვ. მე-6

რაბი აჰარონ მდინარაძის საკვირაო საკითხავის კომენტარი.

მედვედევის ქუჩას რამალაჰში რა უნდა?

რუსეთის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი ცდილობს ანტისემიტი ჟურნალისტი სწორ
გზაზე დააყენოს.

გვ მე-7

გაეცანით „ოლაში ჯორჯიას“ საიუბილეო ღონისძიებებს

კოტე მარჯანიშვილის თეატრი 19 და 20 დეკემბერს თელ-ავივის პრესტიჟულ — კამერუ-
ლი თეატრის ფესტივალზე მოლომ ალეიხემისა და გურამ ბათიაშვილის ნაწარმოებებს ლე-
ვან წულაძისეული წარმტაცი ინტერპრეტაციით, ვახტანგ კახიძის მუსიკალური გააზრებით
და ჩინებული აქტიორული შესრულებით თამაშობს.

გვ.მე-8

24-31 დეკემბერი
 ხანუქა – სინათლის დღესასწაული
 მოგილოცავთ, ძნავალს დასწრებოდეთ!



ხ ა ნ უ ქ ა



ბოლო წლების
 საქართველოში



დონალდ ტრამპის ფეისბუქზე გამოჩნდა ცნობა...

როგორც ჩვენს მკითხველებს უკვე ვაუწყებდით, 13 ოქტომბერს იუნესკოში გაიმართა ებვიპტისა და პალესტინის ავტონომიის მიერ შეტანილი ანტისრაელური რეზოლუციის კენჭისყრა, რომლის მიხედვითაც ებრაელებს თურმე არა-რა კავშირი არა აქვთ ტაძრის მთასთან. იმასაც ვიუწყებდით, რომ რეზოლუციას მხარი არ დაუჭირა ექვსმა სახელმწიფომ--აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, ლიტვამ, ნიდერლანდებმა, გერმანიამ და ესტონეთმა, ხოლო იუნესკოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი 58 სახელმწიფოდან ოცდაათმა მიიჩნია, რომ ებრაელობას თურმე არა-რა კავშირი არა აქვს ტაძრის მთასთან და იგი მუსლიმური ძეგლია. ესენი არიან: ალჟირო, მაროკო, ომანი, კატარი, რუსეთი და სხვ. აღმასკომის წევრმა 28 სახელმწიფომ კენჭისყრისას თავი შეიკავა, ან კენჭისყრაზე საერთოდ არ გამოცხადდა.

დეკემბრის დამდეგს დონალდ ტრამპის ფეისბუქზე გამოჩნდა შემდეგი ცნობა: — მე არაერთგზის განმიცხადებია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელი თუ ვიქნები, შეერთებული შტატები იერუსალიმს აღიარებს ერთიანი და განუყოფელი ისრაელის ნამდვილ დედაქალაქად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (იუნესკო გაეროს სტრუქტურაა.რედ.) დიდი-ლაობა ისრაელისაგან განაცალკევოს იერუსალიმი გახლავთ ცალმხრივი მცდელობა არად ჩააგდო ებრაელი ხალხის დედაქალაქის 300 წლოვანი ისტორია, ასევე გაეროს

დიდი ანტიისრაელური წინასწარგანზრახულობის დამადასტურებელი ფაქტი..

იერუსალიმი ებრაელი ხალხის მარადიული დედაქალაქია. ჩვენი ქვეყნის კონგრესის წევრთა დიდმა უმეტესობამ მხარი დაუჭირა იმას, რომ იერუსალიმი სწორედ ასეთ სტატუსში ვცნოთ.

იმასაც დავსძენ, რომ ობამას ადმინისტრაციამ არ ისურვა ყურადღება გამამხვილებინა ამ საკითხზე — იმაზე, რომ იერუსალიმი და ისრაელი ერთიანია. ამასწინათ ობამას ისრაელში სტუმრობისას, მან არაფერი თქვა ამის თაობაზე. ეს გახლავთ კაპიტულაცია ისრაელის მტრების წინაშე. ობამას ენადა პატივი მიეგო ისრაელის ყოფილი პრეზიდენტის ხსოვნისათვის, სინამდვილეში ეს არის შიმონ პერესის ხსოვნის შეურაცხყოფა.

cursorinfo.co.il

„ბროლის ღამესთან“ დაკავშირებით...

1938 წლის 9 ნოემბრის ღამეს ნაცისტებმა მოაწყვეს მასიური ებრაული პოგრომი, რომელსაც მოგვიანებით „ბროლის ღამე“ ეწოდა. იმ ღამეს დახოცეს 90-ზე მეტი ებრაელი, ხანძარი გაუჩინეს 200 სინაგოგას, დაანგრეს და გაძარცვეს ებრაელების ასობით ბინა და მალზიები, რამდენიმე დღეში 30 ათასი ებრაელი საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნეს.

9 ნოემბერს, როცა მთელ მსოფლიოში აღინიშნებოდა „ბროლის ღამის“

78-ე წლისთავი, რომელიც ფაქტიურად ჰოლოკოსტის დასაწყისად ითვლება, გერმანელმა ნეონაცისტებმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნეს რუქა. ამ რუქაზე აღნიშნულია 70 ებრაული დაწესებულების ადგილსამყოფელი: სინაგოგები, სკოლები, რესტორნები, სასაფლაოები.

რუქას წამდღვარებული ჰქონდა შემდეგი ტექსტი: „ებრაელები ჩვენს შორის არიან. დღეს მშვენიერი დღეა“.

მიხეილ მირილაშვილი — წლის საუკეთესო ინოვატორი

ბიზნესმენი და ფილანტროფი მიხეილ მირილაშვილი გახდა ჟურნალ „ტოპ — 100“ მეცამეტე გამოშვების გმირი. ამ ჟურნალს სცემს გაზეთ „დელოვოი პეტერბურგის“ რედაქცია და მკითხველს უამბობს იმ პეტერბურგელებზე, „რომლებმაც ხელიდან არ გაუშვეს თავიანთი შესაძლებლობა.“ მიხ. მირილაშვილმა მიიღო „წლის საუკეთესო ინოვატორის“ წოდება. „გონივრული ინოვაციებისა და სათამაშო ბიზნესში IT პროექტების გამოყენებით თავისი ქონების გადარჩენისა და გამრავლებისათვის.“ ბიზნესმენისა და ფილანტროპის ფოტოსურათი ჟურნალის გარეკანზეა მოთავსებული. ჟურნალის გარეკანზე თქვენ ხედავთ ადამიანს, რომელმაც გასული საუკუნის ფეთქებადსაშიშ 90-იან წლებში, სათამაშო ბიზნესი წამოიწყო, ახლა კი ეწევა წარმატებულ ინვესტიციებს მაღალტექნოლოგიურ კომპანიებში საკომპიუტერო თამაშებით დაწყებული ჰაერიდან წყლის მწარმოებელი გენერატორების გამოშვებით დამთავრებული. მიხ. მირილაშვილი იმ მცირერიცხოვან პეტერბურგელ ბიზნესმენტა რიგს მიეკუთვნება, რომელთაც ინტერნეტით დიდი შემოსავალი მიიღეს.

მიმდინარე წელს მიხ. მირილაშვილი მეორე ადგილზე მოხვდა ყველაზე მდიდარ პეტერბურგელ ბიზნესმენტა შორის. 2015 წელს „დელოვოი პეტერბურგის“ მიერ შედგენილ მილიარდერთა რეიტინგში მიხ. მირილაშვილი მეექვსე ადგილზე იყო. წელს თავისი ქონება სწორედ გონივრული ინვესტიციების მეოხებით, 2,5-ჯერ გაზარდა. ექსპერტთა მიერ რუსეთში, ისრაელში, აღმოსავლეთ ევროპაში, აფრიკასა და აშშ-ში მისი ოჯახის აქტივები 229.3 მილიარდ მანეთად (3.5 მილიარდი დოლარი) არის შეფასებული.



ბეთ ქნესეთი ებრაელობას დაუბრუნდა

საჩხერეში დიდძალი ებრაელობა ხცოვრობდა. ამ ქალაქის ებრაელობა ცნობილი გახლდათ როგორც მშრომელი, მუყაითი, რწმენისადმი ერთგულებით აღვსილი საკრებულო. ერთ დროს ამ ქალაქის ებრაელობა საქართველოს ებრაელობის ძვირფას თვალს წარმოადგენდა.

წავიდნენ, ისტორიულ სამშობლოს მიაშურეს. ბეთ ქნესეთი (სინაგოგა) დაცარიელდა. ახლახანს კი საქართველოს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ ბეთ ქნესეთი ებრაულ თემს გადასცა.

ასეთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული სააგენტოს სარეკომენდაციო კომისიის მიერ. ეს კომისია შეისწავლის რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივ და საფინანსო საკითხებს.

კომისიის წევრები გახლავან და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდნენ: საქართველოს მართლმადიდებელი და სომხური სამოციქულო ეკლესიის, მუსლიმური და იუდაისტური თემის წარმომადგენლები.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინფორმაციით, საქართველოში არსებული 19 სინაგოგიდან 17 უკვე გადაეცა ებრაულ თემს, ამათგან უმეტესობას კულტურის ძეგლის სტატუსი აქვს მიკუთვნებული.



მ ა რ ც ვ ა

გორის ბეთ ქნესეთიდან მოიპარეს რამდენიმე სეფერთორა. სეფერთორის არონ ჰა კიდემიდან გაქრობა აღმოაჩინეს 1 დეკემბერს, ხუთშაბათ დილით, როცა ჯამაათი სალოცავად შეიკრიბა. ვერავინ ამბობს, თუ როდის მოხდა ქურდობა რადგან შაბათის — 26 ნოემბრის შემდეგ ბეთ ქნესეთი დაკეტილი გახლდათ.

დაკარგული სეფერ, თორების ერთი ნაწილი მოგვიანებით იპოვეს იქვე სინაგოგასთან ახლოს — სეფერთორები დაზიანებული იყო. პოლიციამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე. ეს დანაშაული ისჯება 3-5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

ისრაელის ქნესეთის დეპუტატი ქსენია სვეტლოვა („სიონისტური ბანაკი“)ერთობ მკაცრად გამოეხმაურა სინაგოგასთან დაკავშირებულ ინციდენტს, რომელიც მას ადრე მოუწახულებია:

— ეს ძალიან საშიში პრეცედენტია, რომელსაც ჩვენ, ებრაულმა სახელმწიფომ გადაუდებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება — მანამ სანამ ეს მახინჯი მოვლენა გახშირდება. საქართველო ისრაელის ერთობ მეგობრული სახელმწიფოა, ამიტომ ის, რაც მოხდა, ძალიან საგანგაშოა. საქართველო საუკუნეების განმავლობაში ცნობილია, ტოლერანტულობით, ებრაულ თემთან მჭიდრო ურთიერთობით. მივმართავ საქართველოს ხელისუფლებას, ისრაელის ელჩს საქართველოში, დაუყოვნებლივ ჩაერიონ საქმეში, მონახონ და დასაჯონ ამ ვანდალური აქტის მონაწილენი და მკაცრად დაგმონ სინაგოგაზე თავდასხმა — საჭიროების შემთხვევაში, მთელ ქვეყანაში გააძლიერონ ებრაული ობიექტების დაცვა.

შოთა რუსთაველის დაბადების 850-წლისთავისათვის

ვეფხისტყაოსნის ებრაული თარგმანი

ზურაბ კიკნაძე

(დასასრული. დასაწყისი იხ. „მ“ №11)

ხოლო რაც შეეხება რუსთაველურს ღმერთო ერთო — ამ ორი ქართული სიტყვის თანაჟღერა თითქოს მატერიალურადაც ასახავს აზრობრივ კავშირს უზენაესი არსების სახელსა და მის უპირველეს ეპითეტს შორის.

„შენ შექქმენ“ — თავიკიდური ალიტერაციით შეკრული ორი სიტყვა თარგმანში ზუსტ ლექსიკურ შესატყვისს პოულობს: ათთა მაცართა, ხოლო ალიტერაციამ აქ ბოლოკიდური მარცვლები მონაწილეობს. ამ სიტყვებით იწყება თარგმნილი ტაეპი და მათი კადანები ბგერობრივად იმეორებს ორიგინალის დასაწყისი სიტყვების დაბოლოებებს: ღმერთო ერთო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ებრაული მაცართა („გამოსახე“, „გამოძერწე“) უფრო ზუსტად გამოსახავს ამ ტაეპში ნაგულისხმევ აზრს, ვიდრე დედნისეული „შექქმენ“. ძველი აღთქმის წიგნების ენა განარჩევს ორგვარ „შექქმნას“ — შექქმნას არარაობიდან (ცრეატიო ეს ნიჰილო) და შექქმნას უკვე ქმნილისაგან ანუ გაფორმებას (ფორმარე) ქმნილისას. მაცართა ამ უკანასკნელ აქტს გულისხმობს, როგორც ნათქვამია ფიზიკური ადამის შექქმნის გამო: ვა მიცერ მითელოჰიმ ეთ ჰა-ადამ ყაქარ მინ ჰა-ადამა „და გამოსახა უფალმა ღმერთმა კაცი მიწის მტვერისაგან“ (დაბ. 2:7).

თუ მივაყურებთ ხმოვანებას ამ ტაეპისას, მოგვესმება სამჯერადი გამეორება ერთი და იმავე ძირისა: მაცართა ქოლ-ცურა ჰა-მიცტადერეთ, რაც ქართულად სიტყვასიტყვით ნიშნავს: „შენ გამოსახე სახე ყოველი გამოსახულისა“. ეს რუსთაველის კონგენიალური სტრიქონია ჭეშმარიტად. ამავე დროს იგი ავლენს ებრაული პოეზიის საუკეთესო ტრადიციებს. თუ შევეცდებით ანალოგი მოვუძებნოთ ამ სტრიქონს ვეფხისტყაოსნის დედანში, უმაღლესი გაგვახსენდება „მან უთხრა: სახე რა გითხრა მის უსახოსა სახისა“ (896,1).

ცარ, ცურ, მი-ცტადერ — ერთი ალიტერაციული დინებაა, მაგრამ ამ ტაეპში და მის კვალზე მთელს სტროფში სხვა ბგერაც დომინირებს (თ), რომლის იმპულსი სტროფის დასაწყისს სიტყვებშია მოცემული: ათთა მაცართა. ეგვევ ბგერა გაისმის ამ შაირის ენერგიულ კადანებში — ერეთ, ერეთ, ერეთ, ერეთ. ამის გავლენით მეორე ტაეპი იმავე ბგერით იწყება და მთელს მანძილზე არ მორდება მას:

თენ ლი ყოზ ვე თაყაცომეთ ყალ ჰა-მეცერ მითგაბერეთ.

შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა.

მკითხველი ადვილად შენიშნავს თანაჟღერას: თაყაცომეთ — ძლევა მეც, მაგრამ აქ სხვა რამეც არის აღსანიშნავი: ტაეპის პირველი ხანა ფსალმუნთა ერთი ადგილის რემინისცენციაა: ნოთენ ყაზ ვე-თაყაცუმთ (68:36). „უფალი, მომცემი ძალისა და სიმტკიცისა“. როგორც ვხედავთ, ბიბლიური ფრაზა ოდნავ მოდიფიცირებულია და დამორჩილებულია ტაეპის ტონიკასა და ეფონიას (ცეზურა მოდის მარცვალზე ომეთ, რაც ეხმიანება ტაეპის კადანს — ერეთ და თითქოს ერთიმეხა კიდევ. ფსალმუნისეული თაყაცუმთ დისონანსს შეიტანდა სტრიქონში. მის ნაცვლად იკითხება: თენ სირთა ვეგევურალი, რომელიც სიტყვიერად თითქოს ახლოს არის დედანთან (მომეც მფარველობა და ძლევა), მაგრამ ამოვარდნილია ტაეპის ეფონიიდან.

მეორე ხანაში ამ ტაეპისა „დათრგუნვად მე სატანისა“ ნაცვლად სიტყვისა „სატანა“ (რაიც ნარ-მოშობით ებრაულია: სატან) ზის დეცერ, რომელიც უკანასკნელად კიდევ გვახსენებს პირველი ტაეპის ალიტერაციულ ჟღერას (მაცართა, ცურა მიცტადერეთ. ამას ემატება მეორე ტაეპის თაყაცომეთ). ერთი მხრივ, ამის გამო იქნა მთარგმნელის მიერ უარყოფილი ძირეული ებრაული სიტყვა სატან; მეორე მხრივ, დეცერ ამ კონტექსტში მნიშვნელოვან ნიუანსს შეიცავს: იგი ნიშნავს „სურვილს“, „ცთუნებას“ — ის, რაც დედანში სატანის სახით არის წარმოდგენილი, თარგმანის მიხედვით ადამიანის ბუნებაში ძევს, მისი შინაგანი შესაძლებლობა და ადამიანის ძალითვე უნდა დაითრგუნოს. ამ მხრივ სატანა და (ავი) სურვილი ზნეობრივ პლანში ერთმანეთის სინონიმებია. ეგვევ სიტყვა შეგვხვდება თარგმანში 809-ე სტროფისა: „მომეც დათმობა სურვილთა...“ (ანუ სატანურ, მაცთუნებელ სურვილთა).

მესამე ტაეპში „მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდილმდე გასატანისა“ ფაზ-ბი აჰავა ნილჰევეთ ყად ხალიქათი ბოყერეთ — ჩნდება ახალი ალიტერაციული წყვილი აჰავა ნილჰევეთ (ამავე დროს გრძელდება პირველი ტაეპიდან დაძრული თან-ის დინება). „აღლებული სიყვარული“, რაც გავგახსენებს ცნობილ ადგილს ქებათა ქებიდან: „სახმილი მისი (სი-

ყვარულის) — სახმილი ცეცხლისა; ალი (შალჰევეთ) ღვთიური“ (8:9). მესამე ტაეპი ებრაულ თარგმანში ასეთი შინაარსისაა: „შთამბერე სიყვარული აალებული, სიკვდილამდე რომ ენთოს“.

მეოთხე ტაეპი „ცოდვათა შემსუბუქება მუნ თანა ნასატანისა“ ზედმინევენიტი სიზუსტით არის ნათარგმნი და რაიმე განმარტებას არ მოითხოვს. უნდა აღინიშნოს მხოლოდ, რომ ამ სტრიქონში კულმინაციას აღწევს თან-ზე აგებული ალიტერაცია და ამავე დროს შემოდის კიდევ ორი წყვილი: ხატა'ა ხატათა და შე-ითი ლე-შამ. ახლა მთლიანობაში აღვიქვათ ეს შაირი, როგორც კონგენიალური თარგმანის ნიმუში:

ელ მახიდ ათა მაცართა / ქოლ-ცურა ჰა-მიცტადერეთ,
თენ-ლი ყოზ ვე თაყაცომეთ / ყალ ჰა-მეცერ მითგაბერეთ,
ფაზ ბი აჰავა ნილჰევეთ / ყად ხალიქათი ბოყერეთ,
სა ეთ-ხატა'ა ხატათა, / შე-ითი ლე-შამ ყოვერეთ.

რაკი მიჯნურობას შევეხეთ ზემოთ, აქვე უნდა მოვიტანოთ ღრმა თარგმანების ანუ ინტერპრეტაციის მაგალითი, როცა თარგმანში უფრო მკვეთრად და მნიშვნელოვნად არის გამოხატული აზრი, რომელიც მთელი პოემის პათოსს შეადგენს. ერთი შეხედვით ორდინარული ფრაზა, სადაც თითქოს არც მუდღვენდება პოეტის მსოფლმხედველობა — „გულსა მისსა მიჯნურობა მისი ჰქონდა დამალულად“ (41, 1) — თარგმანში საკრალური აზრით იტვირთება და, როგორც დავინახავთ, სავსებით შეესაბამება მიჯნურობის რუსთაველისეულ გაგებას:

ვა იშმორ ეთ-ზოთ ბე-სეთერ! ლევაჟო ვა ეკადემ.

რაც ნიშნავს: „და იმარხავდა მას იდუმალად თავის გულში და წმიდად რაცხდა“. ზმნა ეკადემ (კდმ — ყველა სემიტურ ენაში დადასტურებული ძირი) საკრალური სიტყვიერიდან არის მოხმობილი და ისეთი სულიერ და ფიზიკურ მოქმედებას გამოხატავს, რომლის წყალობითაც რაიმე ცნება ან საგანი სინამდის იძენს, ბინიერებისაგან იწმინდება. იგი ობიექტად გულისხმობს ღვთის სახელს (მეორე რჯ. 32:51), შაბათს (გამ. 20:8), ადგილს (გამ. 19:23) ცალკეულ ადამიანს ან მთელ ერს (მაგ. „გარდამოვიდა მოსე მთით ერისა მის და განწმინდა იგინი“, გამ. 19:14).

ძველ აღთქმაში განწმედილი უპირისპირდება ყოველგვარ საყოველთაოს, ყოველდღიურს ანუ ვულგარულს (ხოლ), ისევე როგორც ჩვენს პოემაში მიჯნურობა უპირისპირდება სიძვას („იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი“). ბინისაგან ამგვარად განწმედილი სიყვარული ჰბაძავს მიჯნურობის იმ სახეს, რომლის გამო რუსთაველი ამბობს: „ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა; და აქაც, ებრაულ თარგმანში, ამოვიკითხავთ იმავე ძირის (კდმ) სიტყვას: აჰავა, რემეთ ქოლ-დერე ნეხცევა მიკოდემ მალა, რაც ნიშნავს: „სიყვარული, საწყისი ყოველი ზნეობისა გამოკვეთილია, უზენაესი სინამდის (კოდემ) მიერ“. სწორედ ამიტომაც მიჯნურობა „საქმე საზეო“, რომელსაც, რუსთაველისავე თქმით, „ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან“.

ახლა ვნახოთ, როგორ არის გააზრებული ის სტრიქონი, სადაც რუსთაველი „მიჯნურის“ ეტიმოლოგიას გვამცნობს, რაზეც „მიჯნურობის“ კონცეფციას აფუძნებს:

მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა.

სხვა მთარგმნელთაგან (ნუცუბიძე, ზაბოლოცი, ნულაძე) განსხვავებით, რომელიც თარგმანის ტექსტში უცვლელად სტოვებენ ქართულ სიტყვას „მიჯნურს“, და ამრიგად, ბუკვალურ გზას ადგანან, გაპროვოვი საკუთარი ენის ნიაღში პოულობს საშუალებას, რომ ადეკვატურად გამოჰხატოს ამ სტრიქონის აზრი. რაკი უარაჰყო ებრაულისთვის უცხო სიტყვა „მიჯნური“, აღარც „არაბული ენა“ დასჭირვებია; მან ბიბლიის ტექსტში მიაგნო საჭირო „ეტიმოლოგიას“:

მიოჰავ ნიკრა მიკედემ მეშუაყ ვე იშ ჰა-რუახ.

რაც უკუითარგმნება: „მიჯნურს (მეოჰავ) ძველთაგანვე ენოდა გახლებული და სულის კაცი“. აქ გახაზული სიტყვები ებრაულ თარგმანში ბრჭყალებშია ჩასმული, რაკი ისინი ნახესხებია ძველი აღთქმის ტექსტიდან, სახელდობრ, ოსიას წინასწარმეტყველის წიგნიდან (9:7): ევილ ჰა-ნაბი, მეშუაყ იშ ჰარუახ ე. ი. „შემლილი იყო წინასწარმეტყველი, ხელი იყო სულის კაცი?“ ამ სიტყვებით ოსია წინასწარმეტყველი ირონიულად ამხელს გარემეთა (პროფანთა)



შეხედულებას წინასწარმეტყველებაზე. მათ თვალში ისინი მართლაც ხელნი და შემლიღნი ჩანდნენ, რაკი ღვთიური სულით იყვნენ შეპყრობილნი (როგორც მიჯნურნი „ჯინით“) და არ ჰგავდნენ ჩვეულებრივ მოკვდავთ. არის მართლაც შინაგანი მსგავსება მიჯნურსა და ძველი აღთქმის წინასწარმეტყველ შორის (მათივე მსგავსია ძველბერძენთა მანტისი, ღვთაებრივი სიგიჟით შეპყრობილი მისანი), რაც მათ გარეგან სიმშავესა და შინაგან სიბრძნეში ცხადდება. ხოლო რაც შეეხება ზენათა გვართა ტომის მიჯნურობას, აქ უნდა გავიხსენოთ ერთი ადგილი ახალი აღთქმიდან: „შეუდგეთ სიყვარულსა და ჰბაძავდეთ სულიერსა მას, უფროსსა, რათა სწინასწარმეტყველებდეთ“ (1 კორ. 14:1) რუსთაველის მიჯნური მართლაც არის იმ ჰარუახ „კაცი სულისა“, რომელსაც აქვს საღმრთო სიხარული და მუდამ აღმოფრენით დამოკრების. არა ჰგავს იგი იმ „ჭკვიანთ“, რომელთა გამო ნათქვამია, რომ ისინი ვერ ეზიარებიან პირველ და უზენაეს გვართა ტომის მიჯნურობას, რაკი ეს საღვთო საქმეა, ისევე როგორც წინასწარმეტყველება.

„მზე აღარ მზეობს ჩვენთანა, დარი არ დარობს დარულად“ (820:4) — ეს სტრიქონი რუსთაველი ალიტერაციის საქრესტომათიო ნიმუშია. ალიტერაცია აქ სემანტიკურ-ეტიმოლოგიური ბუნებისაა. ამავე დროს ეს გამონათქვამი — „მზე მზეობს“ ასახავს იმ ონტოლოგიურ რეალობას, რომ მოვლენა (მზე ან დარი) მუდმივ ასხივებს თავის ბუნებრივ სუბსტანციას, ნათელს. ამის ანალოგიურად გრამატიკული სუბიექტი — მზე — არ საჭიროებს სხვა ძირიდან წარმომავალ შემასმენელს; იგი მის საკუთარსავე მატერიაშია მოცემული. მზე მზეობს, დარი დარობს — აქ გამოხატულია მოვლენათა უცვლელი ბუნების მიმართ რწმენა. მზე არ მოიშლის მზეობას, მუდამ იგივეობრივია თავის თავთან. იგი პირობისამებრ განახლებდა ყოველ დღით, როგორც ამბობს პოეტი, სამყაროს წესრიგის მიმართ მოიმედე: Как обещало, не обманываая проникло солнце утром рано... როცა რაიმე მოვლენა დასაბამით დადგენილ ბუნებას იცვლის, როცა მზე აღარ მზეობს, თავისი სუბსტანციისაგან იშრებება, ადამიანს ეუფლება უსასოობის განცდა. რუსთაველის გმირის მთელი არსება აღესაბამება ამ განცდით, როცა გაიაზრებს, რომ „დილსა ადრე“ აღარ მოვა „იგი ნაზარდი სოსანი“, ავთანდილი, პირ-მზე სპასუეტი. უსასოობაში მთლიანად დანთქმული ინდივიდის სულიერი მდგომარეობის გამოძახილია ეს ალიტერაციული ფრაზა, რომლის შესატყვისად ებრაულ თარგმანში ვკითხულობთ:

შამემუ შემე შამენუ, / ლო მაზრიახ ჰა-ზორეახ!

ეს ნიშნავს: „გაუდაბურდნენ (გაუჰკაცრილდნენ) ცანი ჩვენთა ცათანა, მანათობელი აღარ ანათებს“. პირველი სიტყვა დადასტურებულია ძველი აღთქმის ერთ აპოკალიპსურ ფრაზაში, სადაც დასახულია შემზარავი პერსპექტივა მისი პირის განადგურებისა, წინასწარმეტყველის პირით რომ განეცხადება ხალხს: ვე ნათათი ეთ-ჰა-არეც შემამა უ-მემამა... ვემამემუ ჰარე ისრაელ... (ეზეკ. 33:28). აქაც ვაკვირდებით ეტიმოლოგიურ-სემანტიკურ ალიტერაციას, რაც სხვა ენაში აუხახველია: „და მივსცნე ქვეყანა ოხრად და წარწყმედალ... და მოიხრდნენ მთანი ისრაელისანი“.

ბგერითი აგებულებისა და დედანთან მიმართების თვალსაზრისით ეს ებრაული სტრიქონი მხატვრული ადეკვატურობის კლასიკურ ნიმუშად შეიძლება

ჩაითვალოს. მასში დაცულია დედნისეული სალიტერატურო კომპოზიცია: ფრაზას „დარი არ დარობს დარულად“ შეესაბამება შამეშუ შემე შამენუ, სამი თანაჟღერი სიტყვა. იყო საცთური მეოთხე სალიტერატურო სიტყვის გაჩენისა — შემემ („მზე“), რაც ტაეპის აზრისათვის არ იქნებოდა მოულოდნელი, მაგრამ იმ შემთხვევაში დაირღვეოდა ტაეპის ბგერითი სტრუქტურა, სადაც ერთადერთი შესაძლებელი ფრაზა უნდა ყოფილიყო და არის კიდევ: ლო მაზრიახ ჰა-ზორეახ, რაც ზუსტი მატერიალურ-შინაარსობრივი შესატყვისია ფრაზისა „მზე აღარ მზებოს“.

ბედნიერ შემთხვევას უნდა მივუბნოთ ის გარემოება, რომ ებრაულ ენაში სიტყვები „ვინრო“ და „კლდე“ თანაჟღერადი სიტყვებია. ბედნიერია ეს დამთხვევა იმის გამო, რომ ორივე ეს სიტყვა ერთიმეორის გვერდით გვხვდება რუსთაველის გენიალურ აფორიზმში „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვინრო, ვერცა კლდოვანი“. ამ ტაეპის ევფონიურ მხარეს აღარ შევხვები, იგი ყველასათვის ცხადია, ასევე ცხადი უნდა იყოს ებრაული თარგმანის ბგერითი სტრუქტურა:

ლო ყახსომ ბეყად ჰა-მავეთ / ქოლ მეცარ ვე ცურ ვა ფახათ.

აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ ბგერით თანჟღერას ორიგინალსა და თარგმანს შორის: ვინრო, ვერცა — მეცარ ვე ცურ, აგრეთვე კადანს ფახათ „ორმო“, „მთხრებლი“ (თარგმანის მიხედვით „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვინრო, ვერცა კლდოვანი“ და ვერცა მთხრებლი), რომელსაც მომდევნო ტაეპში ერთიმეობა ფახად („შიში“), ხოლო ორივე ეს სიტყვა ერთად გვხვდება მაგიურ მანყევარ დაძახილში ფახად ვა-ფახათ ვა-ფახ ყალეხა დომ ევ ჰა-არეც (ესაია 24:17): „შიში, მთხრებლი და სათხვეელი მოგელის, მკვიდრო მიწისა!“.

არის შემთხვევა, როცა დედნისეული ერთი სიტყვა დაბადებს ბიბლიურ რეძინისცენციას და მთელს იდიომას წამოიყოლებს თან. მაგ., სტროფში „თინათინ — მისი სახელი, არს ესე საცოდნარია“, ხსენებული სიტყვა „სახელი“ ებრ. შემ, მთარგმნელისათვის იმპულსს იძლევა იმისათვის, რათა მოხმობილ იქნეს თინათინის გარეგნული პორტრეტის ასაგებად ცნობილი ფრაზა ქებათა-ქებდან, სადაც სიტყვა შემ ბუნებრივად იწვევს სიტყვას შემენ (ზეთი, ნელსაცხებელი): შემენ თურაჲ შემეხა „დაღვრილი ნელსაცხებელია სახელი შენი“ (ქ. ქ. 1:3). თარგმანში: თინათინ შემაჰ ქა-შემენ ვე-ქანოქეთ ჰა-ნოვაყათ, რაც ნიშნავს „თინათინ — სახელი მისი ვითარცა ნელსაცხებელი და თაფლი მთოღლვარე“. მეორე ნაწილი ამ ფრაზისა აგრეთვე გამოძახილია გამოთქმისა იმავე ქებათა-ქებდან: ნოქეთ თიტოფნა სიფ თოთახს, ქალა, რაც ნიშნავს: „თაფლი დამოსწვეთს ბაგეთა შენთა, სძალო“ (4:11). შემ (სახელი) და შემენ (ნელსაცხებელი), როგორც თანაჟღერადი სიტყვები კიდევ ქმნიან სხვა ფრაზას, ამჯერად ნეგატიური შედარებისას: შემ ტობ მი-შემენ ტობ, რაც ნიშნავს „სახელი უმჯობესია, ვიდრე საუკეთესო ნელსაცხებელი“ (ეკლეს. 7:1). ეს აფორიზმი სრულიად მოულოდნელად ადგილას არის გამოყენებული მთარგმნელის მიერ, სახელდობრ, სტრიქონში: „ვაჰ, ჩემი თავი უებრო დავეარე დავა-შავითა“ (763, 4) — სოგრატის სიტყვებში, ოდეს მან როსტევანის რისხვა დაიხსახურა. თარგმანში ვკითხულობთ: ჰოა შემი ჰა-ტოქ მი-შემენ... „ჰოი, სახელი ჩემი ნელსაცხებელი უმჯობესია...“.


თარგმანის ცალკეული ადგილები მკვეთრად გამოავლენენ პოემის გმირების ღვთაებრივ ატრიბუტებს. როსტევანის დაძახილში გააპარული ავთანდილის გამო „სად წაჰხე და სად დაჰკარგენ სინათლისა ევე სვეტნი“ (821, 4) ნაზგასმული სიტყვები იგივეა, რაც „სვეტი ცეცხლისა“, რომელიც ღამ-ღამობით მიუძღოდა წინ ეგვიპტიდან გამომავალ ებრაელთა ტომს (გამო. 13:21-22). ცეცხლის სვეტი ღვთის ეპიფანის ერთი სახეა, მისი მუნდოფობის ნიშანი. ზემოთ მოყვანილ სტრიქონში კი ავთანდილია წყარო ამ მადლისა, რაც მონიჭებია მას „მისთა მჭკრეტელთა“ საიმედოდ და გასახარად. მკითხველისათვის, ვისთვისაც კარგად არის ცნობილი ბიბლიური სასწაული „ცეცხლის სვეტისა“ (ყამუდ ჰა-ემ), განსაკუთრებით საგანძობი უნდა იყოს როსტევანის სასონარკვეთა ავთანდილთან განმორების გამო, ეს სტრიქონი სა-მაგალითო სიზუსტით არის ნათარგმნი: „სად წახველ, რად დამალე სვეტი ცეცხლისა თვალთაგან ჩემთა?“ სხვა ადგილას ყამუდ ემ უკვე ზეგარდმო ჩამოსული ნათელია, რომელიც პოემის სამ გმირს ეფინება: „მათ სამთა გმირთა მნათობნი ჰვარგვენ ნათლისა სვეტითა“ (1409, 2). ნათლის სვეტი — ყამუდ ემ — მათი არაამქვეყნიური აურაა.

მსგავსადვე მნიშვნელოვნად ჟღერს ებრაულ ტექსტში ღრმადქართული კოლორიტის ეპითეტები, როგორიცაა, კერძოდ, „პირმზე“, რაც არსებითად ავლენს პოემის გმირების ღვთიურ წარმომავლობას. ამას შესატყვისება წმინდა სემიტური გამოთქმა ბენ ჰა-შემემ, სიტყვასიტყვით „ძე მზისა“, რაც ნიშნავს „მზის“ ანუ „მზესთან ნილნაყარს“. როცა ეპითეტი ქალს მიეწერება — ბათ ჰა-შემემ „მზის ასული“ (ნესტანი, 1143, 1) ან ბათ ჰა-ხერეს, რაც იგივეს ნიშნავს (ხერეს — „მზე“ პოეტურ ენაში). ასევე ნესტანის მიმართ „ქალი პირ-მზე“ ძალდაუტანებელი ითარგმნება როგორც ყალმათ ჰა-შემემ — „მზის ქალწული“ (1190, 2). განსაკუთრებით აღსანიშნავია თინათინის

ეპითეტი სტრიქონში „მიხვალ, დაგხვდების თინათინ, ანათებს დღესა მზიანსა“ (191, 2): დედნისეული მეტაფორა თარგმანში კვლავ მნიშვნელოვან ეპითეტად შენივთდება ბათ ჰა-ზოჰარ — „ასული ნათლისა“, რაც ჩვეულებრივი ტიტულია მოციქულებისა ან ღვთის რჩეულთა, ქრისტიანთა: „რამეთუ თქვენ ყოველნი შვილნი ნათლისანი ხართ და შვილნი დღისანი, და არა ვართ ღამისანი, არც ბნელისანი“ (ასე მიუწერს მოციქული პავლე პირველ ქრისტიანეთ, 1 თეს. 5:5).

სანუთროს ბნელში მანათობელი ეს სახენი თითქოს ადასტურებენ, რომ პოემის ავტორს მხედველობაში ჰქონდა განღმრთობის (თეოზისის) იდეა, რაც ქრისტიანული თვალსაზრისის მიხედვით (პავლე მოციქული, დიონისე არეოპაგელი) უნდა განხორციელდეს კაცებრივ ბუნებაში. ეს სახენი წინასწარ ასადგურებენ ამ გრანდიოზულ მომავალს — ხორციელი ადამიანისა და ქვეყნის ფერისცვალებას. ეს განსაკუთრებით მკვეთრად არის ნარმოჩენილი ებრაულ ტექსტში, სადაც პოემის გმირთა პორტრეტის დასახატად ღვთაებრივი ატრიბუტებია მოხმობილი. ძველი აღთქმის პერსონაჟთა შორის ერთადერთი წინასწარმეტყველი მოსე მიიღებს ამგვარ სახეს სინას მთაზე ღმერთთან ლაპარაკის შემდეგ: კარან ყორ ფანავ „დიდებულ (ანუ ბრწყინვალე) იყო ფერი პირისა მისისა“ (გამ. 34:29). ბიბლიურ აპოკრიფებში მოსეს თან სდევს ეს უჩვეულო „უსხეულო“ ნათელი. როდესაც მოსე, ნათქვამია იქ, ხორებიდან (იგივე სინა) ჩამოვიდა, იგი დაფარული იყო უხილავი ნათელით... მისი პირის ნათელმა დაჰფარა ნათელი მზისა და მთვარისა“. ასეთივე ძალისაა პოემის გმირთა სახიდან გამოსხივებული ნათელი, რომელიც ძლევს მნათობთა ფიზიკურ ნათელს: „მზე ველარას იქმს მის მეტსა, მას გაენათლა რომ არე“ (ნესტანი, 555,); „არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე ალვა, ედემს ხებული“ (ნესტანი, 522, 2), „რა მჭკრეტელთა იგი ნახონ, მზე მათ თანა გააფლიდონ (ავთანდილი და ფრიდონი, 988, 3). მაგრამ თუ ამგვარი სახით გამოცხადებული მოსეს ხილვამ ხალხი შეაძრუნა და იგი იძულებული გახდა რივდ ჩამოეფარებინა სახეზე, რუსთაველის გმირთა ზებუნებრივი ნათელი ესთეტური ტკბობის, სიხარულისა და იმედის წყაროა. ასე მთელს პოემაში და ეს გასაგებია. რუსთაველის სამყარო მშვენიერი ფენომენია სწორედ იმის გამო, რომ იგი ამგვარი შუქით არის განათებული.

პოემის გმირთა რჩეულობის კიდევ ერთი დადასტურებაა, რომ ისინი იხსენებიათ ვითარცა „ედემის ხე“, „ედემს ნაზარდი ალვა“ და სხვ. თუმცა შეიძლება მკითხველს მოეჩვენოს, რომ ამგვარი მეტაფორები მხოლოდ და მხოლოდ მათ გარეგნობაზე მიუთითებდეს, მაგრამ მას უფრო ღრმა მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს: ამ მეტაფორათა წიაღ ადამიანთა განსაკუთრებული მოდგმა არის სახილველი. პოემაში წარმოდგენილი სიმბოლო ადამიანისა — ხე, უპირატესად ალვა, არის არა ველურად და შემთხვევით ადგილზე გაზრდილი რამ ცენარო, არამედ საუკეთესო ადგილზე დანერგილი და ზეგარდმო განსაკუთრებული ზრუნვით ნაზარდი ნერგი. მასში უნდა დავინახოთ სიმბოლო გამორჩეული ხალხისა და ინდივიდთა, როგორც ნათქვამია ფსალმუნში (1:3): „იყოს იგი ვითარცა ხე, დანერგილი თანა-ნარსადინელსა წყალთასა, რომელმან გამოსცეს ხილი თვისი ჟამსა თვისსა და ფურცელი მისი არა დასცვივის, ყოველივე რაიცა ყოს, წარემართოს მას“. ასევე პოემაში „ვკოვებ ხე, ტანი ალვისა, სოფლითა წყალთა რწყულისა“ (696, 3) — ალვა ტარიელია, მსოფლიო წყალთა ესენციით მორწყული, და პოემის ფინალი გაგვიცხადებს, თუ როგორ წარემართვის მას. ეს მეტაფორა ძალიან ძველია. მას პირველ ნერილობით პოეზიამდე მივყავართ. მისი ფესვი შუმერულ საკულტო ჰიმნოგრაფიაშია გადგმული: „რჩეული კედარო, სამკურნაო ტაქარის ეზოისა...“ (ასეა შექმნილი ურ-ნინურთა, ისინის დინასტიის გაღმერთებული მეფე). შთამბეჭდავია ამ მეტაფორის გამძლეობა საუკუნეთა წიაღ, იგი მნიშვნელოვანი ელემენტია საერთოდ ქრისტიანულ (ფორმალური თვალსაზრისით თუ განვიხილავთ მას) და ჩვენი პოემის პოეტიკაში. „ვითარცა ნერგნი ედემისანი ორძიან...“ ვკითხულობთ ერთ ჰიმნში წმინდა მამათა მიმართ. „ედემის ნერგი“, მოკვდავზე ნათქვამი, სრულიად ცხადად უნდა გულისხმობდეს სამოთხეში დამკვიდრებულ (მეტაფორულად „დარგულ“) ადამს, ჯერეთ უცოდველს, ვის ბუნებასთანაც თანაზიარნი არიან ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტში შექმნილი წმინდანნი. პოემის გმირებიც ზიარნი არიან იმ პირველ და უკანასკნელ ადამთან, რომლის ერთადერთი სამყოფელი სამოთხეა ანუ ედემი. მათში არის რაღაც შინაგანი სიმართლე და ცოდვათაგან შეუხებლობა. ამას მოასწავებს მათ მიმართ ნათქვამი „ნეო, ედემს დანერგული“, „ედემს რგული ალვა მჭკრე“, „ედემს ნაზარდი ალვა“ და სხვ. პოემის მანძილზე ხორციელდება გზა ედემს მოშორებული ედემის ნერგის დაბრუნებისა თავის ბუნებრივ საყოფელში. ამის გამო ამ კერძო ადამიანთა ბედი მინიატურულად იმეორებს (თუ წინასწარ მოასწავებს) გრანდიოზულ გზას კაცობრიობისას, ქრისტიანული ესქატოლოგიის მონამსით გააზრებულს. ამას მოწმობს ტარიელის მოთქმა ნესტანზე: „ვინ მოგკვეთა, არა ვიცი, ხეო, ედემს დანერგული!“ (309, 3). ხოლო 715-ე სტროფის განძილ მეტაფორაში ცხადად გაისმის სამოთხიდან განდევნილი ადამის მოთქმა: „ვინ უნინ ედემს ნაზარდი ალვა მრგო, მომრწყო, მახია, / დღეს სანუთრო-



გიორგი გაპანიძე

მან ლახვარსა მიმცა, დანასა მახია, / დღეს გული ცეცხლსა უშრეტსა დაბმით დამიბა მახია, / აწყა ვცხა, საქმე სოფლისა ზღაპარია და ჩმახია!“ ამ მოთქმაში ერთმანეთსაა გადაქსოვილი ავთანდილის პირადი წვალეობა და უედემო კაცობრიობის ბედი. ეს მეტაფორა მიგვანიშნებს, რომ სამშობლოდან გადაკარგვა ედემის საყოფელთაო დაკარგვის ხატია. ხოლო სანუთრო ანუ სოფელი ამ კონტექსტში სატანასთან არის გათანაბრებული, კაცობრიობის დასაბამიერ მტერთან, რომელმაც ედემი წაართვა ადამს. ამას მოწმობს სტრიქონი „ვაი სანუთროო, სიცრუვით თავი სატანას ადარე“ (1213, 1). ზემოთ მოტანილ სტროფში (715) სიტყვები უნინ და დღეს ადამის (ანუ კაცობრიობის) ორ პერიოდზე მიგვითითებს, რაც პოემის პლანში ავთანდილის ყოფაზეა გადატანილი, და ამის გამო ხსენებული სტროფი უფრო ალეგორიულია, ვიდრე მეტაფორული. ეს გარემოება მით უფრო უნდა აღინიშნოს, რომ თარგმანში თუმცა შენარჩუნებულია დედნისეული მეტაფორა, მაგრამ იგი ალეგორიად ველარ გაიაზრება. თარგმანში მოშლილია დედნისეული დაპირისპირება ღმერთსა, რომელმაც ედემში დარგო ალვა, და სანუთროს შორის, რომელმაც ლახვარს მისცა ნერგი იგი. აქ ორივე აქტი — ხის დარგვა ედემში და მისი მოკვეთა სანუთროს მიენერება: „შენ სანუთროვ დამრგი ხე ედემს, მომრწყე და ნაყოფი გამომაღებინე, მაგრამ შენვე მიმეც ლახვარსა და მახვილით მომჭერი“, რაც არ უნდა იყოს სწორი.

სამაგიეროდ, როგორც ითქვა, რუსთაველის მეტაფორული სისტემა, როგორც აქ, ისე სხვაგან მრავალადგილას ზედმიწევნითი სიზუსტით არის გადმოტანილი. ამავე დროს გათვალისწინებულია ეროვნულ-პოეტური ტრადიცია. დედნისეულ ალვას (ებრ. ბერომ „კვიპაროსი“), რომელიც რუსთაველის მიერ სამოთხის ხედ არის დასახული და, როგორც ჩანს, ძველთაგანვე სასწაულმოქმედ ხედ იყო შერაცხილი („ქართლის მოქცევის“ მიხედვით წმინდა ნინო მისგან გამოათლევინა პირველი სამი ჯვარი სამ მთაზე აღსამართავად), თარგმანში ზოგჯერ ენაცვლება კედარი (ერეზ) და ფინიკი (თამარ), რომელთა სინამდდე და რჩეულობა მრავალგზის არის დადასტურებული ძველი აღთქმის ნიგნებსა და შუა საუკუნეების ებრაულ პოეზიაში. ოღონდ საკულტურული ხატია, რომ თარგმანში ეს ორი სიტყვა დიფერენცირებულად არის გამოყენებული: კედარი პოემის მამრულ, ხოლო ფინიკი (რომელიც ქალის სახელიცაა — თამარ) მდედრულ გმირთა მეტაფორად არის მოხმობილი (ასევე ნავიკაჲს პირველხილვისას ოდისეის აპოლონის საკურთხეველთან ნაზარდი ფინიკის ხე აგონდება. ოდისეა VI, 162-168).

ვეფხისტყაოსნის ებრაული თარგმანი მრავალმხრივ არის საგულისხმო და მრავალი ასპექტით შესწავლას მოითხოვს. ერთი მხარეა ამ ორი ენისა და სიტყვიერ-კულტურული ტრადიციების ერთ-ერთმანეთსაა პარალელური პრობლემა, რისთვისაც უხვ მასალას იძლევა ებრაული ტექსტი. ნაწილობრივ ამ მიზანს ისახავდა წინამდებარე ნერილის ავტორი. ამ მხრივ შეიძლება ყურადღება გამახვილებულიყო თარგმანის „ქართულიზმებზე“, რომელნიც არც თუ მცირე რაოდენობით აღმოჩნდებოდა, რადგან განსვენებული ბორის გაპონოვი ქართული ენის ჩინებული მცოდნე და პატრიოტი იყო. ეს ცოდნა და სიყვარული ჩვენი ენისა შეფარულად თუ ცხადად ასახულია თარგმანში (მაგალითისათვის, იქ შევხვდებით წმინდა ქართულ ცნებებს, როგორიცაა „სანუთრო“, ებრ. ხელედ ბენ რეგაყ — „სოფელი, ძე ნუთისა“, ანუ „ნუთიერი“; ან ემ ჰა-შახორ — „შავი დღე“ და სხვ.)

მეორე მხრივ, ებრაული ტექსტი ორიგინალის დამოუკიდებელი თავისთავადი მოვლენაა თანადროულ ებრაულ პოეზიაში, როგორც უკვე აღინიშნა აბრამ შლონსკის სიტყვებით. იგი ცხადყოფს მთარგმნელის არჩევულებრივ პოეტურ ტალანტსა და ენობრივ ადროს. ვირტუოზობამდე ასული მხატვრული ოსტატობა, სიტყვისადმი ჭეშმარიტად რუსთველური დამოკიდებულება, რუსთველური დაუფლება ენის სტიქიისა, მშობლიური პოეზიის ამომწურავი ცოდნა — ამ თარგმანს დედნის კონვენციულურს ხდის.

ბორის გაპონოვი იმ მომავლითა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა გვარი თავად რუსთველმა განსაზღვრა — „არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვამცირობა, ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმობობა“. დიდი გმობობაა (ებრაულად რომ ვთქვათ, გვეყურა, რაც გამარჯვებასაც ნიშნავს), ჭეშმარიტად, ბორის-დოვ გაპონოვის ღვაწლი.

ისრაელის ამბები

ისრაელის ამბები

ისრაელის ამბები

ისრაელის ამბები

ისრაელის ამბები

სარა ნეთანიაჰუს 11 საათიანი ღაპითხვა

ისრაელის მთავრობის მეთაურის ბინიამინ ნეთანიაჰუს მეუღლის—სარა ნეთანიაჰუს დაკითხვა პოლიციის განყოფილება „ლაჰავ-433“-ში 11 საათი გრძელდებოდა. დაკითხვის მთავარი თემა გახლდათ კეისარიამი ნეთანიაჰუს კერძო ვილის საბიუჯეტო სახსრებით რემონტი.



პოლიციაში გამოიკითხეს ელექტრიკოს ავი ფეხამის კეისარის ვილაზე მუშაობა და იერუსალიმში ნეთანიაჰუს რეზიდენციისათვის შესყიდული ელექტრომონტაჟის ხარისხი, რომელიც როგორც ეჭვობენ, ნეთანიაჰუს კეისარის ვილაში აღმოჩნდა.

ამ დაკითხვაზე როგორი რეაქცია ჰქონდა მთავრობის მეთაურს? მან გაცხადა: „ ვამბობდი და კვლავაც ვიმეორებთ: არაფერი არ იქნება, იმიტომ რომ არაფერი არ იყო“

ისრაელში ქართველი „დევენილები“ მოგრაკლდნენ

ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტრო ამტკიცებს რომ ისრაელში კატასტროფულად იზრდება საქართველოდან იმ ტურისტად ჩამოსულთა რიცხვი, რომლებიც ამ სახელმწიფოში თავშესაფარს თხოულობენ. ამ მხრივ ქართველები ლამის წამოვიწყებენ იმ უკრაინელებს, რომლებიც „მაიდანს“ და ომს გაუბრუნდნენ. როგორც ეკონომიკური გამოცემა Themarket-ი იუწყება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოდან ჩამოსულ ტურისტთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა—პირველი „დევენილები“ სამი წლის წინათ გამოჩნდნენ. გამოცემას მოჰყავს საუნეებო სტატისტიკა: 2013 წელს დევნილის სტატუსი ითხოვა საქართველოს ოთხმა მოქალაქემ, 2014 — 51 მოქალაქემ, 2015 — ში საქართველოს 703 მოქალაქემ. მიმდინარე წლის 31 ოქტომბრამდე კი 5505 მოქალაქემ.

შინაგან საქმეთა სამინისტროში აღნიშნავენ, რომ საქართველოდან და უკრაინიდან ჩასული ადამიანები დევნილის სტატუსის მისაღებად განცხადებას ჩასვლისთანავე—მეორე დღესვე წერენ. უკრაინელები მიუთითებენ, რომ თავიანთი სამშობლოდან ომის გამო გარბიან, ქართველები კი აცხადებენ ოპოზიციის მიმართ რეპრესიებს გაუზრდობით. ისრაელის სახელმწიფოებრივი ბიუროკრატია კი იმდენად ხანგრძლივია, რომ დევნილის სტატუსის მთხოვნელის განცხადების განხილვა შესაძლოა წლების განმავლობაში გაგრძელდეს. ამიტომ მთხოვნელს დროებით ეძლევა მუშაობის უფლება, რათა თავი შეინახოს. საამშენებლო, სარესტორანო ბიზნესში კი მუშახელის ნაკლებობაა. სწორედ ამის გამო ეტანებიან ისრაელს „დევენილები“

ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე მიმართა იუსტიციის სამინისტროს, რომ ძალიან კრიტიკულად შეისწავლოს ყოველი მთხოვნელის განცხადება.

ისრაელში ისაკ პარლაგაშვილის სპორტული საჩუქარი საქართველოს

82 წლის ისაკ პარლაგაშვილი, რომელიც ადრე კალათბურთსა და ხელბურთში საკავშირო კატეგორიის მსაჯი იყო, ისრაელიდან, სადაც რიშონ ლეციონში ცხოვრობს, საგანგებოდ ეწვია საქართველოს. მისი ჩამოსვლის მიზანი განსაკუთრებული გახლდათ—ენადა საქართველოს სპორტის მუზეუმისათვის გადაეცა უნიკალური სამუზეუმო მასალა, რომელიც ასახავს საქართველოში სპორტის ახალი სახეობის—წყალბურთის ჩასახვასა და განვითარებას.

ისაკ პარლაგაშვილი საქართველოდან 23 წლის წინათ ავიდა ისრაელში. ი. პარლაგაშვილი საკავშირო კატეგორიის მსაჯი გახლდათ 1957 წლიდან. ჯერ კიდევ 1956 წელს მსაჯობდა წყალბურთის პირველ საჩვენებელ მატჩებს. მერე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ავარჯიშებდა განდბოლისტებს... მოგვიანებით კი სპორტულ ჟურნალისტობას მიჰყო ხელი. იბეჭდებოდა სსრკ-ში, პოლონეთში, რუმინეთსა და ჩეხოსლოვაკიაში.

საქართველოში ი. პარლაგაშვილს დიდი პატივი დახვდნენ. მუზეუმისათვის კოლექციის გადაცემის ცერემონიალს ესწრებოდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხინჩაგაშვილი. მინისტრმა ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის მაღალი შეფასება მისცა. პარლაგაშვილის ღვაწლს. თბილისში გაიმართა ქართული განდბოლის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო, სადაც ი. პარლაგაშვილს სამახსოვრო საჩუქარი გადასცეს.

რუსეთის საგარეო საქმეთა ოფიციალურმა წარმომადგენელმა ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის დირექტორმა მარია ზახაროვამ 13 ნოემბერს „როსსია-1“ სატელევიზიო გადაცემაში „კვირა საღამო ვლადიმირ სოლოვიოვთან ერთად“ ანტისემიტური განცხადება გააკეთა: როცა წამყვანს აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნების თაობაზე ესაუბრებოდა, წამყვანის შეკითხვაზე, თუ რას იტყოდა ტრამპის მოულოდნელ გამარჯვებაზე, თქვა:

—ებრაელებმა ადრევე იცოდნენ, თუ როგორ დამთავრდებოდა არჩევნები, ვინ გაიმარჯვებდა. დონალდ ტრამპმა ებრაელთა ფულით გაიმარჯვა. მერე კი დასძინა: —თუ შენ გინდა იცოდე, რა მოხდება ამერიკაში, ვის უნდა ელაპარაკო? უნდა ელაპარაკო ებრაელებს—მერე კი ებრაული აქცენტით გაიმეორა თითქოსდა, ამერიკაში რომელიღაც ებრაელის ნათქვამი:—„მაროჩა, ჩვენ რასაკვირველია, მივცემთ ფულს კლინტონს, მაგრამ რესპუბლიკელებს ორჯერ მეტს მივცემთ“ ამიტომ გაზეთებში კი არ უნდა ეძებოთ პასუხი კითხვაზე, თუ რა იქნება ამერიკაში, არამედ ბრაი-

ტონზე (უბანი ნიუ-იორკში, რომელშიც უმეტესწილად ებრაელები ცხოვრობენ. რედ) ჩვენი ებრაელები ყველაფერს გეტყვიან.

ამერიკაში პალესტინის ავტონომიის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი დაიწყო

29 ნოემბერს ამერიკაში დაიწყო ისტორიის განმავლობაში პირველი სასამართლო პროცესი პალესტინის ავტონომიის ხელისუფლების წინააღმდეგ. პალესტინის მთავრობას ბრალს სდებენ ტერორიზმის მხარდაჭერაში და 2000 წლიდან მოყოლებული იასირ არაფატის სიცოცხლის ბოლომდე, ისრაელელების ხოცვა-ჟლეტაზე პასუხისმგებლობას აკისრებენ. ვიდრე სასამართლო პროცესი დაიწყებოდა, აშშ უმაღლესმა სასამართლომ პალესტინის ავტონომიის აპელაცია უარყო. ამდენად, პალესტინის ავტონომიას მილიარდიანი სასჯელი ემუქრება.

ამერიკელი მოსამართლეების განსაჯვლად წამოდგენილი იქნება ექვსი ტერორისტული აქტი: 2001 წლის 7 იანვარის და 2002 წლის 22 იანვარის ისრაელელებზე შეიარაღებული თავდასხმა, იმავე წლის 27 იანვრის, 21 მარტის და 19 ივნისის ტერორისტული აქტი—თავის აფეთქების გზით, 2002 წლის 31 ივლისის ფართომასშტაბიანი ტერორისტული აქტი და ამავე წლის 29 იანვრის ტერორისტული აქტი—კამიკაძე. პალესტინელებმა ყველა ზემოთჩამოთვლილი ტერაქტი იერუსალიმში განახორციელეს.

ამერიკელი მოსამართლე ჯორჯ დანიელი აცხადებს: —დალუპულთა ნათესავები გვიმტკიცებენ, რომ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ ეს ტერორისტული აქტები ისრაელის სამოქალაქო მოსახლეობის დაფრთხობის მიზნით შეასრულა. ამით ენადათ ზეგავლენა მოეხდინათ აშშ-სა და ისრაელის პოლიტიკაზე და მიეღწიათ თავისი პოლიტიკური მიზნისათვის.

სასამართლო პროცესი სამი თვე გაგრძელდება. პროცესის მიმდინარეობისას ჩვენებებს მისცემენ ბრალდების ათობით მოწმენი—ადამიანები, რომლებმაც გაუძღეს ტერორისტულ აქტებს, დაკარგეს ნათესავ—ახლობლები.

ამიჰმ სენის უამსჯავლელი ცენტრი

ნოემბრის მეორე ნახევარში ხაიფაში შეიკრიბნენ მთელი მსოფლიოს მეცნიერები და მკვლევარები. აქ ისრაელის სამეცნიერო-ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან გაიხსნა კიბოს შემსწავლელი სამეცნიერო-საკვლევო ცენტრი. ეს არის მსოფლიოში პირველი ცენტრი, რომელიც გლობალურად შეისწავლის ონკოლოგიურ დაავადებებს, ეს კი დააჩქარებს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი მეთოდების შემოღებას.

ხაიფის ტექნიონის პრეზიდენტმა, პროფესორმა პერეც ლავიმ განაცხადა: —კიბო ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე საშიშერი დაავადებაა. ამ დაავადების მკურნალობისათვის საჭიროა ფუნდამენტურ მეცნიერებათა—სხვადასხვა დისციპლინათა ერთობლივი მუშაობა. ესენი არიან: ბიოქიმიკოსები, ციტობიოლოგები, პროგრამისტები, მიკროსკოპისა და ვიზუალური დიაგნოსტიკის სპეციალისტები, ინჟინრები და პრაქტიკოსი ექიმები. ამ სპეციალობის ადამიანები ჩვენს ტექნიონში არიან.

ცენტრის გახსნის ცერემონიაზე ძირითადი მომხსენებლები გახლდნენ: შვეიცარიის (ლოზანა) პოლიტექნიკური სკოლის პროფესორი დუგლას ჰანაჰანი და სოლ სინგერი. სინგერმა გამოსთქვა მოსაზრება, რომ უკვე ათწლეულებია, იქნებ, უფრო ადრეც, ყოველ ადამიანს ექნება მონყობილობა, რომელიც დააფიქსირებს პიროვნების ჯანმრთელობის მდგომარეობას. ამის მეოხებით საშუალება მოგვეცემა ყოველი ავადმყოფობა ადრეულ სტადიაზე აღვკვეთოთ.

მიმდინარე წელს ხაიფის ტექნიონმა აზიის 200 უნივერსიტეტის რეიტინგში 36-ე ადგილი დაიკავა. მას აქვს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტის რეპუტაცია.

მსხმთავარი რაბინის აპელაცია არ დაკმაყოფილდა

იერუსალიმის საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ისრაელის მთავარი რაბინის იონა მეცვერის აპელაცია. ექსთავარ რაბინს ბრალად ედება დიდი ოდენობით ქრთამის მიღება, თაღლითური ქმედებანი, ფულის გათეთრება და სახელმწიფო სამსახურში ყოფნისას ჩადენილი სხვა დანაშაულებანი. ექსთავარი რაბინის დაცვა თხოულობდა ბრალდების მოხსნას და მიიჩნევს, რომ ადგილი აქვს იონა მეცვერის დისკრიმინაციას.



სასამართლომ, როგორც აღვნიშნეთ, არ დააკმაყოფილა დაცვის მოთხოვნა. ბრალდებაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო სამსახურში ყოფნისას მეცვერმა ქრთამის სახით მიიღო რვა მილიონი შეკელი. რამდენიმე პუნქტი ეხება ბიზნესში ალექსანდრე მაშკევიჩს, რომელმაც გამომძიებლების მონაცემებით მეცვერს საჩუქრებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების დახმარებისათვის საერთო ჯამში გადასცა 515 ათასი აშშ დოლარი, იმ ორგანიზაციებს კი ის დახმარება არ მიუღიათ. ამ თანხის დიდი ნაწილი რაბინს ოლიგარქის მეუღლის გიურისათვის მიეცა. ბრალდებაში ისიც არის აღნიშნული რომ სხვა რუსულენოვანმა ბიზნესმენმა—ვლადიმირ სლუცკერმა რაბინს ფადასცა 360 ათასი დოლარი იმისათვის რომ მიეღწია თავისი შვილების გიურისათვის. სხვა ოლიგარხმა კი მეცვერს გიურისათვის 150 ათასი დოლარი გადაუხადა.

ერთ-ერთი ოლიგარქის მეუღლემ გიურის პროცედურა გერმანიაში გაიარა, ისრაელის მხარე ამ გიურს არ სცნობა, მაგრამ 60 ათას დოლარად ეს პრობლემა მოგვარდა.

ამას გარდა, გამომძიება მიიჩნევს, რომ მეცვერი „ატკატებდაც“ ეწეოდა. როცა მეცვერის თხოვნით ამა თუ იმ რელიგიურ სტრუქტურას ბიზნესმენები ამათუ იმ თანხას შესწირავდნენ, მეცვერი 30% იღებდა.

რას ვპირობთ ამ კვირაში? რაბინის კუთხე



ავარონ ფელდმანი

მ
ა
ნ
ა
ს
ა
ს

წერია ჩვენს თავში: ყველაზე გაახილა თვალები და დაინახა ქალბატონები და ბავშვები, და ეკითხება იაყაკოვს: ვინ არიან ესენი შენთვის?
და უპასუხა: ჰაშემმა აჩუქა შენ მონას (ბერეშით 33: 5)
მიდრამში იალკუტ შიმონი წერია, რომ პიველი დისპუტი ყველაზე იაყაკოვს შორის გაიმართა ჯერ კიდევ დედის მუცელში: იაყაკოვმა უთხრა: ძმაო

- ორი სამყაროა ჩვენს წინ: ერთი - ის რომელშიც ჩვენ ვავალთ, სამყარო საქმელის და სასმელის, ყიდვა-გაყიდვის, ცოლ-ქმრობის და შვილების და მომავალი სამყარო, სადაც ეს ყველაფერი არ არის, გინდა შენ აირე ეს სამყარო და ავიღებ მომავალს.
რამდენიმე წლის შემდეგ, ავრამ ავინუს ვარ-დაცვალე დღეს, იაყაკოვმა გაახსენა მათი ლაპარაკი მუცელში და უთხრა თუ შენ აირჩიე ეს სამყარო, მომყიდე პირველობაც
ავრამელებს მიდრამში და იძახის: თქვა ყველაზე „და აი ახლოს ვარ მე სიკვდილთან“...
(ბერეშით 25: 32) - ამით მან უარყო მომავალი სამყარო - და აიღო იაყაკოვის წილი ამ სამყაროში და დაუთმო თავის წილი მომავალ სამყაროში
აი რატომ უსვამს ის იაყაკოვს შეკითხვას: ვინ არიან ესენი შენთვის?- ანუ შენ ხომ დამითმე მე ეს სამყარო და ხომ აიღე მომავალი, მაშინ საიდან ეს ცოლები, შვილები, ცხოველები, სიმდიდრე?
და გაიფიქრა ყველაზე. თუ ამ სამყაროში, რომელიც არ არის იაყაკოვის წილი, ჰაშემმა მისცა მას ამდენი ჯილდო, მაშენ რა იქნება მის წილში-მომავალ სამყაროში?
და მაშინვე უთხრა: მოდი ვავხედო პარტნიორები, შევცვალოთ ჩვენი ხელშეკრულება: შენ ამ სამყაროს ნახევარი, მე მომავალი სამყაროს ნახევარი
რა თქმა უნდა იაყაკოვი არ აპირებდა ხელშეკრულების შეცვლას და ეუბნება ყველაზე: შენ წადი სეიროში და ჩვენ მერე ჩამოვალთ, ანუ შენ შენი გზით, ჩვენ ჩვენი გზით
თორის კომენტატორი რანი ასე ხსნის ამ ვარიანტს: ყველაზე ეუბნება იაყაკოვს, მე ვყიდი პირველობას იმიტომ, რომ მე შეიძლება მოვკვდე და არც ვაპირებ ჩვენი წინაპრების-ავრამამ და იცხაკ ავინუს გზით ცხოვრებას, იმიტომ რომ მათი დიდება სახლშია, მე კი მიყვარს ყოფნა სახლის გარეთ,

ნადირობა-ჩემთვის სახლში ჯდომა უაზრობაა.
ყესავი-წერს რ. ხაიმ ვიტალი არიზალის სახელით, იყო უფრო ჭკვიანი ვიდრე იაყაკოვი, მაგრამ გადაჭარბებულმა მოძრაობამ, ნადავლმა გააფუჭა მისი სული, მან დაუშვა ისეთი შეცდომები, რომლებმაც გაანადგურეს მისი ტალანტი, მან ის გახარჯა ამ სამყაროს მატერიალურ სიამოვნებებში, და მთლიანად დაკარგა მომავალი სამყარო
იაყაკოვი კი პირიქით, ის თავის მთლიან ენერგიას ხარჯავს თორის სწავლაში-შემის და ევერის იეშივაში, მაგრამ არც მისთვის არ მოსულა ეს ავტომატურად, მხოლოდ მუდმივი სწავლით შეძლო მან სწორი გადაწყვეტილებების მიღება.
სეფერ ჰაიაშარში წერია- ვინ არის რაშაყი-ვისაც აქვს მიდრეკილება ამ სამყაროს მატერიალური სიამოვნებისადმი უფრო მეტად ვიდრე სულიერებისადმი, ვის სულსაც უფრო სიამოვნებს ფული, სიმდიდრე, გართობა, ქურდობა, მანდილოსნებთან ურთიერთობა, ვიდრე ჰაშემის სამსახური, ლოცვა, კეთილი საქმეები.
ყესავი აკეთებდა ბევრ კარგ საქმეებს, მაგრამ რა იყო მისი მიზანი? რისგან იღებდა სიამოვნებას? მას უნდოდა თავის თავის დაკმაყოფილება, ის იყო ჭკვიანი, მაგრამ მან მიატოვა თორა, უარყოფდა მის მნიშვნელობას, და გაება ამ სამყაროს მახეში და დაიკარგა სამუდამოდ
იაყაკოვი კი ხვდებოდა თორის მნიშვნელობას, ის ყველაფერს ანალიზებდა, იყო ძალიან დაკვირვებული და ზუსტი ქმედებაში, ასე მიაღწია მან წარმატებას ამ ქვეყანაზეც და მომავალ სამყაროშიც, და არა მარტო თავისთვის, არამედ მთელი თავის შთამომავლობისთვისაც, მთელი ისრაელის ჯამათისთვის და მალ შორის ჩვენთვისაც, მთავარია გავაკეთოთ სწორი არჩევანი-თორის სწავლა და არ გადაუხვიოთ ამ გზას.
შაბათ შალომ

რუსეთის პრემიერ-მინისტრი ისრაელში



რუსეთის პრემიერ-მინისტრი დიმიტრი მედვედევი ოფიციალური ვიზიტით ისრაელს ეწვია. დიმიტრი მედვედევისა და ბინიამინ ნეტანიიაჰუს შორის გაიმართა მოლაპარაკებები რუსეთ-ისრაელის ურთიერთობის საკვანძო საკითხებზე, ახლო აღმოსავლეთში საყოველთაო მშვიდობის დამყარების თაობაზე.
ვიზიტის ბოლო დღეს დიმიტრი მედვედევი პალესტინის ავტონომიასაც ეწვია და შეხვდა ავტონომიის ლიდერს აბუ მაზენს.

ქალაქ რამალას ერთ-ერთ ქუჩას დიმიტრი მედვედევის სახელი დაარქვეს.

სკანდალი საჩუქრის გამო

10 ნოემბერს, ისრაელში ვიზიტისას რუსეთის პრემიერ-მინისტრი დიმიტრი მედვედევის ხელი მოახერხა სოფლის მეურნეობის დარგში რუსეთსა და ისრაელს შორის თანამშრომლობას, ამის შემდეგ კი მივიდა მივიდა ბეთ დაგანის ცენტრ „ვოლკანიში“ რათა გასცნობოდა ისრაელის სასოფლო-სამეურნეო ინოვაციებს. ისრაელის სოფლის მეურნეობის მინისტრთან ური დანიელთან ერთად ეცნობოდა ისრაელის მიღწევებს. ამ ექსკურსიის დროს მედვედევის ხელში ეჭირა უპილოტო საფრენი აპარატის პულტი და უპილოტო საფრენი აპარატს, რომელიც სოფლის მეურნეობაში გამოიყენება, ათამაშებდა. მინისტრი მიუბრუნდა სამინისტროს გენერალურ დირექტორს შლომო ბენ ელიაჰუს და ჰკითხა შეიძლება თუ არა რუსეთის პრემიერ-მინისტრს აჩუქონ უპილოტო საფრენი აპარატი. შლომო ბენ ელიაჰუმ დადებითი პასუხი გასცა. ამ სცენის შემყურე ცენტრის თანამშრომლები შეეცადნენ საქმეში უხმაურად ჩარეულიყვნენ, რათა აპარატი ცენტრიდან არ გასულიყო. აპარატი მათს ცენტრს ეკუთვნოდა და მისი ღირებულება 200 ათას შეკელს (50 ათას დოლარზე ოდნავ მეტი.რედ) — მორიდებულად ითხოვეს იქნებ, აპარატის გადაცემა გადავდოთ, გვიან გადავცეთო, მაგრამ რუსეთის დელეგაციის ორმა წევრმა უპილოტო საფრენი აპარატი თავისი მონყობილობებითურთა და უნიკალური ტექნოლოგიით უმალ გააქანა.

ეს ფაქტი ისრაელში გახმაურდა. ხმაური დღემდე არ შეწყვეტილა — საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „ომეცმა“ მთავრობის იურიდიულ მრჩეველს ავიხაი მენდელბლიტს მიმართა. იურიდიულმა მრჩეველმაც არ დააყოვნა და 5 დეკემბერს გასცა განკარგულება დაიწყოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ური არიელის (პარტია „ბეთ იუდი“) წინააღმდეგ დისციპლინარული გამოძიება.

იურიდიულმა მრჩეველმა ავიხაი მენდელბლიტმა რადიოსადგურ რეშეტ ბეთს განუცხადა, რომ მინისტრის საქციელში წესებისა და კანონების გაუთვალისწინებლობას ხედავს, მან პუსეთის პრემიერ-მინისტრს უპილოტო საფრენი აპარატი ისე გადასცა რომ არ შეისწავლა, თუ რა შედეგი შეიძლება იქნება ამას მოჰყოლოდა და არც სათანადო სტრუქტურის ნებართვა მიუღია.

ათი ანტიისრაელური რეზოლუცია ერთ დღეში

8 ნოემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტებმა ათი ანტიისრაელური ხასიათის რეზოლუცია მიიღეს. ამათგან ორი რეზოლუცია შეეხება იერუსალიმის სინდინდეთა სტატუსს.
კომიტეტების დადგენილებანი წინ უსწრებს გენერალურ ასამბლეას. საბოლოო დადგენილებას მიიღებს გაეროს გენერალური ასამბლეა, რომელიც დეკემბერში გაიმართება. აღნიშნავენ, რომ კომიტეტის დადგენილებები იშვიათად იცვლება და გენასამბლეა მხარს უჭერს კომიტეტებს. „ოკუპირებულ ტერიტორიაზე“ ისრაელის მოქმედებას მხარი დაუჭირა 86 დელეგატმა, 71 სახელმწიფოს დელეგატმა თავი შეიკავა, ხოლო შვიდი სახელმწიფო წინააღ-

მდეგი გახლდათ.

კონგრესის პრეზიდენტიც ასეთი უნდა!

რუსეთის ებრაელთა კონგრესის (რეკ) პრეზიდენტმა იური კანერმა მიმართა სასამართლოს თავისი ღირსების, პატივისა და სამსახურებრივი რეპუტაციის დაცვის მოთხოვნით და აღძრა სასამართლო საქმე ანტისემიტიკის შურნალისტის მაქსიმ შევჩენკოს წინააღმდეგ. კანერმა არ დააზუსტა თუ რა პრეტენზია აქვს შევჩენკოსთან, თუმცა, ის კი აღნიშნა, რომ საკითხი ეხება შურნალისტის ერთ-ერთ გამონათქვამს, რომელიც რადიო „ეხო მოსკოვი“- ში გააკეთა.



რეკ-ის პრეზიდენტმა დასძინა, რომ მ. შევჩენკოს აღმზრდელითი მიზნით უჩივის, რამეთუ ჩვენ ერთ ქვეყანაში გვიხდებოდა ცხოვრება. შურნალისტმა დაადასტურა, რომ სარჩელი გადასცეს კანერის განცხადება მიიღო მის მცდელობად, შევჩენკოს სასამართლოს მეოხებით შეაცვლევინოს პოზიცია.
— ეს არის პრეტენზია ჩემს ბლოგთან დაკავშირებით, რომელიც „ეხო მოსკოვი“ მაქვს. სწორედ აქ მქონდა დისკუსია ბატონ კანერთან. ამ ბლოგში მე ვთქვი, რომ კანერი არის ადამიანი, რომელიც მხარს უჭერს სეგრეგაციის, აპარტეიდისა და შეიარაღებული მიგრანტებით იმ ტერიტორიის დაკავებას, რომლიდანაც განდევნილი უნდა იქნას ადგილობრივი მოსახლეობა, ესე იგი მხარს უჭერს ისრაელის საზოგადოებრიობის მემარჯვენე კონსერვატორების პოლიტიკას.

„დავიცვათ მოგავალი“

1 და 2 ნოემბერს მოსკოვში ჩატარდა ანტისემიტიზმთან ბრძოლის საერთაშორისო კონფერენცია „დავიცვათ მომავალი“. კონფერენცია ორგანიზებული გახლდათ რუსეთის ებრაელთა კონგრესის მიერ მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის, ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის და მოსკოვის მთავრობის მონაწილეობით.

კონფერენციის გახსნისას სიტყვები წარმოსთქვეს: რუსეთის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა იური კანერმა, რუსეთის ეროვნებათა ფედერალური სააგენტოს მეთაურმა იგორ ბარინოვმა, ისრაელის შინაგანი უსაფრთხოებისა და დაცვამარების მინისტრმა ერდან გილადმა, მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა რონალდ ლაუდერმა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მიხეილ ბოგდანოვმა, ავსტრიის ექსკანცლერმა ფაიმან ვერნერმა, რუსეთის პრეზიდენტთან არსებული ადამიანის უფლებათა საბჭოს მეთაურმა მიხეილ ფედოტოვმა, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა ანტისემიტიზმთან ბრძოლის საკითხებში აირა ფორმანმა, ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა იულიუს მაინლმა.

ამ საერთაშორისო კონფერენციის პროგრამაში გახლდათ პლენარული სხდომები „მრგვალი მაგიდები“ თემებზე : „ანტისემიტიზმი რუსეთში და მსოფლიოში—მასთან ბრძოლის ისტორია და ფორმები“ „ხელისუფლება, საზოგადოება და ანტისემიტიზმი“ „ანტისემიტიზმი თანამედროვე კულტურასა და განათლებაში“ „ანტისემიტიზმი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და ინტერნეტ-სივრცეში“, „რელიგია და ანტისემიტიზმი“ „რასიზმთან, ქსენოფობიასთან ბრძოლა სპორტში“ კონფერენციის დარბაზში მოენყო გამოფენა „ანტისემიტიზმი საბჭოთა კავშირსა და რუსეთში“

კონფერენციაზე თავი მოიყარეს ისრაელიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ამერიკიდან ჩამოსულმა პოლიტოლოგებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, შურნალისტებმა.



ტრენინგები 1 წლის იუბილეისთვის დაკავშირებით
მთავანობით ინტერაქტიური კვირეული, რომელიც
შეცვრის თქვენს მომავალს
5777-2016

ד"ר



23-24 დეკემბერს

კლუბი ოლაში
 გოგონებისთვის და ვაჟებისთვის
 შეგებობენ და პიკნიკი
 სანთლის ანთება



Shalom Bait

25 დეკემბერს 19:00 საათზე



კლუბი შალომ ბაითი
 ახალგაზრდა წყვილებისთვის
 კა? სა? კოლი?
 პიკნიკი გზი და
 შენთან სანთლის ანთება



26 დეკემბერს 18:00 საათზე



კლუბი სტარსი
 გოგონებისთვის და ვაჟებისთვის
 კა? სა? კოლი?
 პიკნიკი გზი და
 შენთან სანთლის ანთება



Mishpacha


27 დეკემბერს 19:00 საათზე

კლუბი მიშპახა
 ქალბატონებისთვის
 კა? სა? კოლი?
 პიკნიკი გზი და
 შენთან სანთლის ანთება



28 დეკემბერს 17:00 საათზე

კლუბი მიშპახა
 ვაჟებისთვის
 გეით კანტონის სინაგოგაში
 კა? სა? კოლი?
 პიკნიკი გზი და
 შენთან სანთლის ანთება



Mishpacha

29 დეკემბერს 18:00 საათზე

კლუბი სტარს ინტენსივი
 გოგონებისთვის და ვაჟებისთვის
 კა? სა? კოლი?
 პიკნიკი გზი და
 შენთან სანთლის ანთება



Stars Intensive

The Freedom to Know



დაამუშავებთ ინფორმაციისთვის დაკავთ
 2 98 85 50
 555 569 562

1000
 ლარი

ისრაელის სამართავროდისო თეატრალური ფესტივალი
 19 დეკემბერი თელ-ავივი, თეატრი „კამერი-2“, 20 დეკემბერი

თბილისის კოტე მარჯანიშვილის
სახ. სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი
„BEGALUT – უცხოობაში“

ზოლომ ალენისა და გურამ ბათიაშვილის ნაწარმოებების მიხედვით
 დამდგმელი რეჟისორი და სცენოგრაფი – ლევან ჯულაქა

კომპოზიტორი – ვახტანგ კახიკა,
კოსტუმები – ნინო სურგულაძისა
ქორეოგრაფი – ბია მარჯანი

„ნუმი ნუმი“ (ებრაული იაჰანანა) ასრულებს ნეკა სეზისკვერაძე

დ ა ს ა ჯ ყ ი ს ი 2 0 : 3 0

დაფუძნებელი და
 გამომცემელი:
 გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
 თბილისი, ლეონიძის 11^ბ,
 ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია
 ქ. თბილისის მთაწმინდის
 რაიონის სასამართლოს
 მიერ.
 რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
 გურამ ბათიაშვილი
 ISSN 1987-8982 UAC 070 411.16
 8-557

